პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
მეომარი

ფასი [illegible] მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ. მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 საათ. ყოველდღე
რედაქც. მისამართი:
ხაზ. სამხ. კ-ს შენ. პოლ. ს რთ.
რუსთაველის პრ. № 34

ხუთშაბ. 29 მარტი
1923 წ.
წელიწადი მესამე

№ 245 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 245

შორეულ აღმოსავლეთშიც იფეთქა.

კარგა ხანია უკვე, რაც ევროპა მწვავე პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს განიცდის. ევროპის ბურჟუაზიის ცდანი აიცილოს თავიდან მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივა, გამოვიდეს ამ საშინელი ჩიხიდან მშვიდობიანი გზით, უნაყოფოდ მთავრდება. მსოფლიო კრიზისი არა თუ არ ნელდება, პირიქით დღითი დღე ღრმავდება, იზრდება და მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს მიაქანებს სრული დასამარებისკენ. უმუშევრობის სწრაფი ზრდა, ფინანსიური ვაკხანალია, სამუშაო ქირის შემცირება, სამუშაო დღის გადიდება, ხშირი კონფლიკტები ანტანტის სახელმწიფოთა შორის, „მშვიდობიანი" იმპერიალისტური ომის წარმოება (რურის ოკუპაცია, მემელის დაპყრობა და სხვა), ფართო მასიური გაფიცვები და მუშებს და მთავრობებს შორის შეიარაღებული ბრძოლა, სასურსათო კრიზისი, ფაშისტების თარეში, აი კაპიტალის სამეფოს დღევანდელი საერთო სურათი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ევროპის იმპერიალიზმის აუცილებელ კრახს.

ამ კრახს არ ასცილდება არც იაპონიის იმპერიალიზმიც. დღემდი ის ადვილად აწარმოებდა თავის ავანტიურისტულ მტაცებლურ პოლიტიკას. საშინელი რეპრესიებით ის უმასპინძლდებოდა ყოველივე რევოლიუციონურ მოძრაობას და ჩანასახშივე ჰკლავდა მას. მაგრამ როგორც გადმოგვცემს უკანასკნელი რადიო ყვითელი იმპერიალიზმის სამეფოში იფეთქა რევოლიუციის სხივმა. და პროლეტარიატის დაგუბებულმა მრისხანებამ სიძულვილით გადმოხეთქა აჯანყებაში. ლითონზე მომუშავე მუშებმა იაპონიის სამრეწველო ცენტრში აღმართეს ბარიკადები თავისი იმპერიალისტური მთავრობის წინააღმდეგ. ბრძოლამ გასტანა ორ დღეს.

მსხვერპლი მრავალი არის. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ კრიზისი, რომელსაც განიცდის ევროპის და ამერიკის იმპერიალიზმი არ ასცილდა არც ყვითელ იმპერიალიზმს. ოსაკის მელითონეთა აჯანყება ნიშანია მისი, რომ ხვალ თუ ზეგ ამ პირველ აჯანყებას მოჰყვება უფრო მძლავრი და გამანადგურებელი ამბოხება იაპონიის მუშების.

ამას წინეთ ჩვენ ვიყავით მოწამე ჩინეთის რკინისგზელთა გრანდიოზული გაფიცვისა ეს მაგალითები ჩვენ გვეუბნებიან, რომ აღმოსავლეთშიც დაიწყო ფართე მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა, რომ იქაც იფეთქა რევოლიუციის სხივმა და შორს არ არის დღე, როდესაც მრისხანე ტალღები აჯანყებული მუშებისა აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდან შეერთებული ერთ მძლავრ ნიაღვარში წალეკავს და აღგვის დედამიწის პირიდან როგორც ყვითელი ისე სხვა ჯურის იმპერიალისტებს.

პრესის მიმოხილვა.

უკანასკნელი ცნობებით სტინესი გაემგზავრა იტალიაში, რათა მოლაპარაკებოდა ამერიკელ კაპიტალისტების ერთ ჯგუფს, „ფოლადის მეფის" გარეების მეთაურებით. აგრეთვე სტინესმა მოლაპარაკება გამართა ფაშისტების ლიდერთან მუსოლინთან და ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრ ჟასპართან.

ამ მოლაპარაკებამ გამოიღო კიდეც თავისი შედეგი და ამერიკელ ფინანსისტების კომისია მიემგზავრება გერმანიაში, რომ გამოარკვიოს ქვეყნის ნამდვილი მდგომარეობა და აგრეთვე ის თუ რამდენადით შეუძლია გერმანიას გადაიხადოს ვალები.

სტინესი სცდილობდა ამერიკელების ჩათრევას რურის კონფლიქტში. შესაძლებელია, რომ ამერიკელები თითონ იკისრებენ გერმანიის ვალების გადახდას.

> „აშკარაა რომ იანკები არ ჩაერევიან ამ საქმეში გრეტხენების ლამაზი თვალების გულისათვის. აშკარაა აგრეთვე ისიც რომ სტინესს თავის ჯიბის საზარალოთ არ მოუწყვია ეს კომბინაცია."

ასე სწერს „რაბოჩაია პრავდა" და ცოტა ქვემოთ დასძენს, რომ სტინესმა ბითუმათ გაყიდა გერმანია და ალბათ ასეთი ოპერაციიდან თითონაც ჯიბეებ დასქელებული გამოვიდა. ამ მაგალითმა თვალები უნდა აუხილოს საერთაშორისო, და განსაკუთრებით კი, გერმანიის მუშათა კლასს, რომელსაც მის დაუკითხავად უყიდიან სამშობლოს, იმ სამშობლოს, რომლის სიყვარულსაც თვალების ახახვევათ ჩასჩიჩინებენ დღე და ღამე მუშათა კლასს.

> „მუშებმა უნდა უთხრან ამ ვაჭრატონებს: შორს ჩვენგან, შორს თქვენი ჭუჭყიანი ხელები!"

მომენტი უკვე ახლოვდება და გერმანელი მუშები ეტყვიან სტინესს და კომპანიას: კმარა. ბატონებო ეხლა ჩვენი რიგია!

⁂

მოსკოვის „პრავდის" 20 მარტის ნომერში ამხ. კ. რადეკი ეხება რურის ოკუპაციას, აღნიშნავს იმ საშინელებებს, რომელსაც ადგილი აქვს რურის ოლქის ქალაქებში. სხვათა შორის აი რასა სწერს ამხ. რადეკი:

> „მუშების პატარა ქალაქ ბუერში უცნობების მიერ მოკლულ იქნა ორი ფრანგი ოფიცერი, ფრანგებმა სამაგიეროთ დახვრიტეს ორი გერმანელი მუშა და საღამოს გამოაქვეყნეს შემდეგი ბრძანება: 1. ყოველ ძალმომრეობის საწინააღმდეგოთ საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ, დახვრეტილ იქნება ქალაქის თავი ან სხვა მხევილი და გარდა მაგის მიღებულ იქნება კიდევ რეპრესიები.
>
> 2) დღეიდან 12 მარტიდან, მოქალაქეებმა უნდა იარონ შუა ქუჩაში, აკრძალულია ხელების ჯიბეებში ჩადება, უნდა მისჩანდეს თუ რა უჭირავთ ხელებში.
>
> 3) საღამოს 7 საათიდან დილის 6 საათამდე აკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა (სიარულიც) ქუჩებში, გარდა სპეციალური ნებართვისა.
>
> 4. სინათლე უნდა ჩააქრონ ყველგან საღ. 10 საათზე.
>
> 5. ყოველგვარი თავის მოყრა აკრძალულია და გარეკილ იქნება იარაღის საშუალებებით.
>
> 6. მცხოვრებლებს ეკრძალებათ იარაღის შენახვა ვისაც აღმოუჩნდება, გადაცემულ იქნება სამხ. სასამართლოზე.

ეს განცხადება საფრანგეთის ოკუპანტებისა ყველა წერილებზე უფრო რელიეფურათ ლაპარაკობენ რურის ამბებზე.

ცოტა ქვემოთ ამხ. რადეკს მოყავს ასეთი ცნობა:

> „ქ. ხერნში, ფრანგებმა გაატიალეს მუშათა სახლი (რომელიც მუშებმა თავის გროშებით ააშენეს) დასწვეს მთელი [illegible] და გააფუჭეს ცენტრალური სათბობი, ლუშელი და ლამაზი სასახლე თავლის დაამსგავსეს. პუანკარე აძლიერებს ჯარებს რურის ოლქში, მაგრამ ყველა საბუთები იქითკენ ლაპარაკობენ რომ პუანკარეს ჯარი გაიხრწნება. მიიღებს თუ არა პუანკარე ნახშირს რურის ოლქიდან ან ფულებს გერმანიის ბურჟუაზიის რკინის შკაფებიდან—მომავლის საკითხია, მაგრამ რომ ის მოესწრება საფრანგეთის იმპერიალისტური ჯარის გახრწნას—ეს ყოველ ეჭვს გარეშეა".

ეს მეტად საინტერესო წერილი ასე თავდება: „ერთი რამ ვიცით ჩვენ:

> თუ ბურჟუაზიას არ შეუძლია შეაჩეროს ეს კატასტროფები, მაშინ მას შეაჩერებს ის კლასი, რომელსაც შეუძლია იცხოვროს უბურჟუაზიოთ და რომელსაც არ სურს დაღუპვა. დღეს თუ ხვალ იგი აიღებს ხელში კაკობრიობის ხსნის საქმეს. საბრალო დიქტატორი, დიქტატორი უტვინო, დიქტატორი რომელსაც შეუძლია მხოლოდ ნგრევა—ევროპის ბურჟუაზია—იძულებული იქნება დაუთმოს ადგილი დიქტატორს, რომელსაც გაჭირვებამ ასწავლა თუ რა უნდა აკეთოს!

ამას ამბობს ისეთი დიდი პოლიტიკური ფიგურა, როგორც კარლ რადეკი.



— **ამხ ლენინის ჯამრთელობაში განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.**

— ფრანგები განაგრძობენ რურში ნახშირის ახალი წარმოებების დაკავებას.

— პუანკარეს განზრახული აქვს პარლამენტის დათხოვა.

— ფაბრიკა-ქარხნების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა პარიზში, მოწმობს მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებას.

— ისპანიაში დაარსდა „კერძო კაპიტალის დაცვის" პარტია.

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

— 22—26 მარტამდე ვლადიმერ ილიჩის ჯანმრთელობაში განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა. 26 მარტს საღამოს ტემპერატურა ავიდა 37,8—დე, 27 მარტს დილით ტემპერატურა ავიდა—38, 0, პულსი—108, სუნთქვა—30.

რურის ოკუპაცია.

მტაცებლობის სფერო ფართოვდება.

— რურში ფრანგები განაგრძობენ ნახშირის წარმოებების დაკავებას.

ბელგიის ბატალიონმა დაიკავა რეინ ბადენის უდიდესი სახელმწიფო მაღარო, რომელიც ყოველდღიურათ იძლევა 2.500 ტონას. მაღაროს მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა.

ართმევენ მანქანებს.

— დიუსელდორფის საოკუპაციო ხელისუფლებამ კონფისკაცია უყო მანქანებს 5 მილ. ფრანკის ღირებულებით.

კარლსრუეში გაზიდეს ყველა დაზგები ოფენბურგის რკინის გზის სახელოსნოებიდან და გაგზავნეს სტანსბურგში.

მანქანები გაგზავნილ იქნენ ელზასში.

მაღაროების დაკავება.

— საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიკავა სახელმწიფო მაღაროები გლადბეკის მახლობლად და ნახშირის წარმოებები ბაუერში.

ემუქრებიან ჯარიმით.

— საფრანგეთი ესსენს ემუქრება დიდი ჯარიმით იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნება, რომ ფრანგის მიკვლა სადგურზე ატარებს პოლიტიკურ ხასიათს.

საფრანგეთში.

საფრანგეთის პარლამენტში.

— საფრანგეთის პარლამენტში აპრილის და მაისის ბიუჯეტის განხილვის დროს, კომუნისტმა დეპუტატმა ბერტონმა პუანკარეს ნაციონალისტური ბლოკის მეთაურს ლეონ დოდეს, ტყვე უწოდა. პუანკარემ ამაზე მეტად მკვახე და შეურაცმყოფელ სიტყვებით გასცა პასუხი. პუანკარეს უგვანო საქციელმა საშინლათ აალელვა მემარცხენეები, რომლებიც მოითხოვდენ, რომ პარლამენტს შენიშვნა მიეცა პუანკარესათვის, მაგრამ მათი მოთხოვნა პარლამენტმა უყურადღებოთ დასტოვა.

1921 წელში გაწვეულთა სამხედრო სამსახურში დატოვების საკითხის განხილვის დროს, კომუნისტმა რაიან ლეტიურემ განაცხადა, რომ საფრანგეთის ხალხს ეს ზომა მეტად ძვირად დაუჯდებათ. ამაზე სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა იძულებულია დასტოვოს სამსახურში 1921 წელში გაწვეულები იმიტომ, რომ საჭიროა რურის არმიის გადიდება 200.000 კაცამდე.

მთავრობის ზომა მოწონებული იქნა პარლამენტის უმრავლესობით, წინააღმდეგ მხოლოდ კომუნისტები წავიდნენ.

სხვა და სხვა ამბები

ლიტვა

უარყოფა.

— ლიტვის ტელეგრაფის სააგენტო უარყოფს ხმებს ლიტვასა და პოლონეთს შორის ფარულ მოლაპარაკების შესახებ. ლიტვის გაზეთების აზრით ეს ხმები გამოგონილია პოლონეთის პრესის მიერ.

მუშათა მოძრაობა ადგება რევოლიუციონურ გზას.

— ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა პარიზში, მოწმობს მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებას.

კონფერენციას დაესწრო 200 დელეგატი. კონფერენციის მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკითხები 8 საათის სამუშაო დღის და სამუშაო ხელფასის შესახებ. კონფერენციაზე ზოგიერთებმა სცადეს „იუმანიტეს" და კომპარტიის წინააღმდეგ გალაშქრება მაგრამ მათ აღშფოთებით შეხვდა მთელი კრება. კონფერენციამ აირჩია, კომისია, რომელსაც დაევალა პროფკავშირებთან შეთანხმებით დაუყოვნებლივ წარადგინოს მოთხოვნილება ყველა კატეგორიებისათვის დღიურად სამუშაო ხელფასის 5 ფრანკით გადიდების შესახებ და დაიწყოს დამუშავება ახალი ტარიფის და რვა საათის სამუშაო დღის საკითხებზე.

მოკავშირეთა საჩივარი.

— პარიზიდან იტყობინებიან, რომ მოკავშირეთა მთავრობებმა გაასაჩივრეს ერთა ლიგის ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რომელიც უკრძალავს პოლონეთისთვის სამხედრო მასალებით დატვირთულ გემებს კილის არხში გასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვიდან ტფილისში აეროპლანით.

(საუბარი სამოქალაქო ავიაციის ინსპექტორთან ამხ. კორეცკისთან.)

26 მარტს საღამოს 5 საათზე ნავთლუღის აეროდრომზე დაეშვა მონოპლანი „იუნკერს“-ის ფირმისა R—C. A.

აპარატი შეჩერდა ხარკოვში, როსტოვსა და კავკავში. ფრენის დრო 12 საათს უდრის.

ორი უკანასკნელი ეტაპი გადაფრენილი იყო ძლიერ თოვლის დროს და რათა აპარატს არ დაეკარგოდა მარშრუტი ის იძულებული იყო ეფრინა 25—50 მეტრის სიმაღლეზე რკინის გზის ხაზის ზევით.

ასეთ მცირე სიმაღლეზე ფრენა შესაძლებელი იყო მხოლოთ სანდო მოტორის საშვალებით, რომელიც მართლაც მთელი მოგზაურობის განმავლობაში არც ერთ ჯერ არ შეჩერებულა.

კავკავის ახლო ძლიერმა თოვლმა მთები დაფარა და აპარატი იძულებული იყო ჩამოშვებულიყო ყანაში.

მეორე დღესვე აპარატი ძლიერ ქარში ტფილისისაკენ გამოეშურა. მთებზე გადასაფრენათ აპარატმა 4000 მეტრის სიმაღლეზე აიწია.

აპარატი მიფრინავდა ჯერ საქართველოს სამხედრო გზის ზევით, ყაზბეგის სიმაღლეზე ფრენის დროს აპარატს შეხვდა ღრუბელთა მთელი ზღვა რომლებიც გრძელდებოდენ 40—50 ვერსტის მანძილზე. ავიატორები არ იყვენ დარწმუნებული, რომ თბილისი არ იყო დაფარული ღრუბლებით.

ორიენტიროვკის დაკარგვის შემდეგ ავიატორებმა გეზი აიღეს კომპასის მიხედვით და დიდ ფანჯარაში (ცალიერი ადგილი ღრუბლებში) ავიატორებმა დაინახეს გზატკეცილი.

ტფილისიდან 50 ვერ. მანძილზე შევამჩნიეთ, რომ არ გვყოფნიდა ბენზინი. საქმე იმაშია, რომ, ბენზინი წამოვიღეთ განსაზღვრული რაოდენობით და მთებზე დიდი სიმაღლით გადაფრენამ კი წაგვართვა ბევრი ბენზინი. მაშინ მოტორი გადავიყვანეთ მცირე გაზზე და ამასთან ქარმა, რომელიც აქამდის უბერავდა გვერდიდან, დაუბერა უკნიდან, რამაც საშვალება მოგვცა მიგვეღწია აეროდრომამდის. კავკავიდან ტფილისამდე გადმოფრენის მოუნდით 1 ს. 15 წუთს.

მოსკოვი—ტფილისის მიმართულებათ განზრახულია სადგური დაუწესოთ ხარკოვში, როსტოვში, ნოვოროსისკში და ბათომში. რეისები მოხდება ალბათ ორჯერ კვირაში.

მონოპლანი, რომლითაც მოხდა გადაფრენა, იუნკერსის ფირმისაა.

(გაზ. „კომუნისტი.“)

ახალი ამბები

კლუბის გადაცემა წითელ-არმიელებზე.

ქალაქის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გადაეცეს ერთი წლის ვადით წითელ არმიელებს, სამხედრო ცოდნათა კლუბისთვის ყოფილ „ბულენ ელექტრიკის“ კლუბი პირობით თუ მოახდენენ მის სათანადო რემონტს.

მსახ. ვასო აბაშიძის კომუნალურ ხარჯებისაგან განთავისუფლება.

— ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა; დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე განთავისუფლებულ იქნას ბინის ქირის, წყლის და ელექტრონის გადასახადისაგან სრულიად.

— ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი სომეხი პოეტი და მწერალი ოვანეს თუმანიანი.

— განსვენებული იყო დიდი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და ისეთი სულიერი სილამაზით დაჯილდოებული, რომ ის საერთო პატივისცემას იწვევდა ყველაში რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო. ის იყო ცნობილი პოეტი არა მარტო სომხეთისათვის არამედ საქართველოსათვისაც. თუმანიანი ისეთი საერთო სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა სომხეთში, როგორც აკაკი საქართველოში.

— საფრანგეთში გარდაიცვალა ყველგან ცნობილი და მსოფლიო ფიგურა მსახიობი ქალი სარა ბერნარი.

— ამხ. იპოლიტ კუჭუხიძემ გადააკეთა [illegible] პირელის ცნობილი მოთხრობა „ტყის ძმები“ 5 მოქმედებიან დრამად. პიესაში აღნიშნულია 1905 წ. გურიის რევოლიუციონერთა ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ნებართვა პიესების დადგმაზე.

განათლების კომისარიატმა მისცა ნება დაურთველად სასტიკად აეკრძალა ყოველგვარი პიესების, ოპერების, ოპერეტების, კინო ლენტების მუსიკალური კონცერტების და სხვ. დადგმა.

— მენშევიკები გარბიან. გაზეთებში კიდევ გამოქვეყნდა ორი მენშევიკების ძველი პარტიის წევრების განცხადება, სადაც ისინი გამოდიან რა მენშევიკურ პარტიიდან მოუწოდებენ თავიანთ მომხრეებს გამონახონ საერთო ენა კომუნისტებთან და გაანებონ თავი ავანტიურისტულ კონტრევოლიუციონურ მუშაობას.

— თბილისში განზრახულია ახალგაზრდა კომკავშირის აღდგომის ჩატარება ფართო გეგმით. დაწყებული 30 მარტ. პარასკევიდან ოთხშაბათ 7 აპრილამდე ჩატარებული იქნება მოხსენებები ახალგაზრდა კომკავშირის აღდგომის, რელიგიისა და მეცნიერების შესახებ, ახალგაზრდა კომკავშირის უჯრედებში, უპარტიო მუშებში, არმიაში და ქალთა განყოფილებაში. ხოლო კლუბებში კი წავა ახტი სარწმუნოებრივი საღამოები „აღდგომის შეხვედრა“ პარასკევი აღინიშნება, როგორც გაზაფხულის დღესასწაული. შაბათს კი პროცესია ტაძრისაკენ. 7 საათზე ტაძრიდან დაიძვრება კარნავალი, ხოლო შემდეგ სამხედრო ტაძრის ეზოში—ინსცენიროვკა და ტაძრის გახსნა.

ჩვენს წითელ ჯარში

წითელ-არმიელთა გასამართლება.

22 მარტს, დილის 10 საათ. 1 ლ. ც. ა. ქ. ლეგიონის კლუბში მოხდა ამავე ლეგიონის წითელ-არმიელ ნესტორ ლიფანავას და იოსებ საუქვაძის გასამართლება. პირველს ბრალდებოდა ზეწრის მითვისება, მეორეს დეზერტირობა და ქურდობა.

აღნიშნულ დროს მოვიდა სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით. კლუბი ავსება წითელ არმიელებით, მუშმადგენლობით, პოლიტ-მუშაკებით, კლუბის თანამშრომლებით, და ადგილობრივ მცხოვრებლებით.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ხსნის საჯარო სხდომას, იბარებს მოწმეებს და აძლევს გაფრთხილებას, რომ სისწორე დაიცვან.

ბრალდებულის და მოწმეების ჩვენებით გამოირკვა, რომ 1-ლ ბრალდებულს არ მიუთვისებია, ხოლო მისი უყურადღებობით და გულუბრყვილობით დაკარგულა. ამ რიგათ ბრალდების 116 მუხლი გაბათილდა და მიუსაჯეს 111 მუხლის ძალით 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ იქნა.

მეორეზე კი დამტკიცდა ორივე ბრალდება. მან აღნიშნულ ბრალდებებში დამნაშავეთ აღიარა თავი.

ტრიბუნალმა ორჯერ დეზერტირობისათვის ჩვენი სამართლის კოდექსის 210 მუხლის ძალით და ქურდობისათვის 187-ით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და სამი თვით, რომელსაც ამნისტიის ძალით შეუმცირეს სამჯერ.

ამნაირად ახლათ დაარსებულმა ქართული დივიზიის რევტრიბუნალმა, პირველათ გაასამართლა 1-ლი ლეგიონის კლუბში საჯაროთ ამავე ლეგიონის 2 წითელ არმიელი.

ე. ცომაია

დაუშვებელია გულგრილობა.

მეორე ლეგიონში ბიბლიოთეკა უყურადღებოთაა მიტოვებული. ბევრი წიგნები უყდოთაა და იხევიან ხმარებაში. ავანსები გამოთხოვილ იქნა ბიბლიოთეკის საჭიროებისათვის, მაგრამ გამომთხოვლებმა უარი მიიღეს. საინტერესოა, რას ხმარდება შეფის შემოწირული თანხები. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი არანორმალური გარემოება: ზოგიერთ ამხანაგებს წიგნები მიაქვთ ოთახებში და იქ [illegible] უწყვიათ. უნდა ახსოვდეს ყველას, რომ წაღებული წიგნს დაბრუნება უნდა ათ დღეში.

ნაპერწკალი.

პარტიული მუშაობა

№ საკავშირო ასეული

№ საკავშირო ასეულში, პარტიული მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა ამ ბოლო დროს. ყოველ კვირაში ერთხელ, სისტემატიურად ეწყობა კომუჯრედის კრებები. კრებაზე კეთდება თითო მოხსენება, უმთავრესად თბილისის კომიტეტის მიერ მოცემულ თემებზე, ერთიან პარტიულ დღისათვის.

დაარსდა პარტწრე, რომელიც მეცადინეობას უკვე შეუდგა. ამხანაგები უკლებლივ ესწრებიან, როგორც კრებებს კომუჯრედისას, ისე პარტ-წრის მეცადინეობას.

კულტურულ სფეროშიც, შესაძლებლობის ფარგლებში განიზრახა კომუჯრედმა მუშაობა. მაგალითად, განზრახული გვაქვს ახლო მომავალში გამოვსცეთ ჩვენს ნაწილში კედლის გაზეთი, რაც [illegible] შესრულებულ იქნება.

ერთი სიტყვით, კომუჯრედის მუშაობას გაცხოველება ეტყობა და ის გაორკეცებულ იქნება ახალგაზრდა ამხანაგების მოსვლის შემდეგ, რომელთაც გამოწვევა განზრახულია მოკლე ხანში.

მ. ჭ-ლი.

დაჰკარგე

ცხენოსან ლეგიონიდან მოცემული ბათომში გასამგზავრებელ შვებულების მოწმობა მიხეილ დვალის სახელზე მოცემული ჩაითვალოს გაუქმებულად.

ეროვნული საკითხი და ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა.

ჩვენი დამოკიდებულება გლეხობასთან უკვე საკმარისათ გარკვეულია, მაგრამ ჩვენს ეროვნულ საკითხს კიდევ ესაჭიროება გარკვევა და მოფიქრებული შესწავლა.

ჩვენი რევოლიუციონური წარსულიდან ჩვენ ჩინებულათ შევისწავლეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშებსა და გლეხებს შორის კეთილ-განწყობილ ურთიერთობის დამყარებას. ისეთ ურთიერთობის დამყარებას, რომელიც სავსებით ეთანხმება თვითეულ ამ კლასის ძალას და რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარებას მთელ მსოფლიოში.

ჩვენ ტყუილა კი არ გვაკერია პირზე გლეხებისა და მუშების ერთი ერთმანეთთან დაახლოება.

შეიძლება, ცოდვა გამოტეხილი სჯობს, ჩვენ ამ საგანზე ხან და ხან გადაჭარბებულათაც მეტს ვლაპარაკობდეთ, მაგრამ ამ საგნის შინაარსი და დედა-აზრი ჩვენ უსათუოდ კარგათ გვაქვს შეთვისებული.

ეს თუნდა იქიდანაც კი სჩანს, რომ ჩვენს ხელისუფლებას მუშათა და გლეხთა სახელწოდება აქვს მიკუთვნებული.

თუ ჩვენი რევოლიუციის სვე-ბედი დამოკიდებულია მუშებისა და გლეხების ერთმანეთთან თანამშრომლობის მოწყობა-მოგვარებაზე, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებაც ასე ამრიგად დამოკიდებულია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის და ეროვნულ რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილით აღტყებულ აღმოსავლეთთან დაკავშირებასა და თანამშრომლობაზე.

რუსეთს ამ შემთხვევაში ის შუა ადგილი უკავია, სადაც ერთათაა თავმოყრილი დასავლეთი და გლეხური აღმოსავლეთი, ამრიგად ის ერთგვარ საცდელ მინდორს წარმოადგენს.

თვით რუსეთშიც ეს საკითხი ყველგან ერთნაირად არ სდგას.

ავიღოთ მაგალითად შუა გული რუსეთი. როცა ჩვენ აქაურ გლეხსა და მუშებზე, მათ ურთიერთ შორის დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, აქ ჩვენ სახეში უნდა გვყავდეს ორი სხვა და სხვა კლასი. თუ საკითხი გვექნა გადასაწყვეტი, მაშინ, თავის თავად ცხადია, აქ ჩვენ უფრო ადვილათ გავართმევთ თავს ამ საკითხის სიძნელეს, ვინემ მაშინ, როცა ჩვენ გვეყოლება სახეში ვთქვათ შუაგულ რუსეთის მუშა ერთი მხრივ ის მუშა, რომელსაც რაც არ უნდა იყოს ჩვენ საბჭოთა სახელმწიფოების კავშირში მაინც პირველი ადგილი უკავია—და მეორეს მხრივ აზერბეიჯანელი, თურქესტანელი, ქართველი ან და უკრაინელი გლეხი.

იქ ამ ქვეყნებში, სადაც ბინადრობს ის ერები, რომელთაც უწინ მეფის დროს ბევრი სიმწარე გამოუვლია და მუდამ დაჩაგრული და დაბრიყვებული იყო,—აი ამ უწინ ეგრეთ წოდებულ „განაპირა“ ქვეყნებში, რომელი საკითხიც არ უნდა აიღო კლასობრივი, ეკონომიური, ადმინისტრატიული და თუნდა კულტურული, ყველა ამ საკითხებს ერთნაირი ეროვნული თვალსაზრისით მიდგომა სჭირდება. აქ, რომ ვთქვათ რაიმე უთანხმოება მოხდეს (ასეთები კი ხშირათ მომხდარა ჩვენ მახსოვრობაში) უსათუოდ ეროვნულ ელფერს მიიღებს. იგივე გარემოება აქ ამიერიდან სულ სხვანაირ სახესა და გამოხატულებას ნახავს. მაგალითად მოხდა რაიმე უთანხმოება მოსკოვის ან პეტროგრადის მუშასა და გლეხებს შორის... თუ ამ უთანხმოების მიზეზის გამოკვლევასა და შეფასებას შეუდგა, ეს შეიძლება ისე აიხსნას, როგორც მაგალითად ქალაქისა და სოფლის შორის მომხდარი დავა, მაგრამ გადაიტანეთ ეს შემთხვევა აზერბეიჯანში, საქართველოში და თუნდა უკრაინაში და იქ ეს გარემოება სულ სხვა გვარათ შეფასდება. იქ არ შეიძლება, რომ ვინმეს მაშინათვე არ გაახსენდეს ძველი „თვითმპყრობელი“ მოსკოვი და საწყალი დაჩაგრული ერები.

როგორი უნდა იყოს აქ სწორი გზა. დავუბრუნდეთ აქ ისევ გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხს და უფრო ადვილათ ვიპოვით სწორ პასუხს.

გამოვარკვიოთ თავდაპირველათ, თუ რა ზარალის მოტანა შეუძლია ჩვენთვის გლეხობასთან დამოკიდებულების შეცდომით გადაწყვეტას.

აი რა.

გლეხობა ჩვენ წაგვივა ხელიდან და ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ ჩავარდება.

ეს ასეა საზოგადოთ როცა ჩვენ საერთოდ გლეხობაზე ვლაპარაკობთ მაგრამ, თუ ჩვენ უწინდელ დაჩაგრულ ერების გლეხობაზე გვექნება ლაპარაკი, მაშინ ამ გლეხობის ჩვენგან წასვლა და ბურჟუაზიისკენ მიკედლება არამც თუ შესაძლებელი და მოსალოდნელია, არამედ სრულებით უსათუოდ და აუცილებელიც.

ეროვნული ფორმები კლასების დაკავშირებისათვის ის მაგარი ქვითკირია, რომელის მაგალითები ისტორიას ბევრი ახსოვს.

პროლეტარიატის დიქტატურამ პირველმა, მას შემდეგ რაც კაცობრიობას თავის თავი ახსოვს, შესძლო მოენახა ის გზა, რომლის საშვალებითაც მოხერხდება ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრა. საბჭოთა ხელისუფლებას შექმნილი აქვს სახელმწიფო წესწყობილების ისეთი სახე, სადაც ეროვნული საკითხის გაღიზიანება და გამწვავება სრულებით წარმოუდგენელია.

მაგრამ თავის მოტყუება იქნებოდა ჩვენ, რომ ის გვეთქვა, თითქოს ეროვნული საკითხი ჩვენ უკვე გადაჭრილი გვქონდეს. და თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ საკითხს თითქო აღარც ფიქრი და აღარც გადაჭრა არ სჭირდებოდეს, იმას იცოდეთ, რომ სწორედ კიდევ შემორჩენია ხალხში ის დაძველებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოუხელებელი ძლიერისაგან უძლურის ჩაგვრის სურვილი, რომელიც მეფის მთავრობის მოსპობასთან ერთად ისტორიის უფსკრულში უნდა დაღუპულიყო.

(შემდეგი იქნება).

ეს წერილი დაიბეჭდა მოსკოვის ,პრავდაში‘‘ და შემოკლებით, რაბოჩაი გაზეთის მე-№ 61-ში. მოგვყავს იქედან ამ წერილის თარგმანი ზოგიერთ ალაგების გამოკლებით,

რედაქცია.

ნ. დ. ს. ც.

ტირაჟი 1500.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩინტლაძე.